


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 21 მაისი 14 1895 წ. № 21

შინაარსი: კარლ ფოხტი. —გ. წერეთლისა.—ჩვენი საჭირ-ბოროტო საქმე. —ან.—წ—სა..—სხვა-და-სხვა ამბები.—საკვირველი აღმოჩენა, იასე რაჭველისა.—ქარ. უხალი ლექსი კინიკინისა. - კრიტიკა-სკრიტიკა ნ. ჟორდანიასი.—ქალის წმინდის გიორგის ეკკლესია.—გაკვრით პასუხი ფ. მახარაძისა.—ვისი ბრალია—დარაჯისა.—სვიმონ ხელი, ვ. ბარნოვისა.—ბ-ნ ზემოურ სოსმანდის საყურადღებოთ თ. კიკვაძისა — საქველ-მოქმედო საქმე.—ქუთაისის ბანკის განცხადება.

## † კარლ ფოხტი

ამ დღეებში გაზეთებმა მოგვიტანეს ამბავი ერთი შესანიშნავი კაცის გადაცვალებისა, რომელსაც სამართლიანათ ეწოდება მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი მეთაური მებრძოლი მეცნიერების წარმატებისა და პოლიტიკური თავისუფლების გულისთვის. ამ კაცის მღელვარე ბუნება ვერ აიტანდა საბუნებისმეცნიერო კაბინეტში კარების ჩაკეტვას, რომ მხოლოთ მშრალ განყენებულ მეცნიერებისათვის თავი შეეწირა. არა. მასში იყო საკვირველათ მოთავსებული ორნაირი ნიჭი. მას ჰქონდა ძლიერი ანალიტური ჭკუა ბუნების მეცნიერების კვლევაში და ამასთანავე იყო ზეგარდამო შთაგონებული მქადაგებელი მეცხრამეტე საუკუნის ეროვნული თავისუფლებისა და რესპუბლიკურ დემოკრატული წეს-წყობილებისა.



თევზების ანატომიურ აგებულებაში და ფიზიოლოგიაში მრავალი რამ ახალი აღმოაჩინა, რომელიც მის დრომდის მეცნიერებას არ ცოდნია. მაგრამ უმთავრესი მისი დამსახურება იყო დარვინიზმის მნიშვნელობის ახსნა და ამ სწავლა-მცნების შესათვისებლათ ბრძოლა. რაიცა შეეხება მის პოლიტიკურს მოღვაწეობას, აქ ის შეუდარებელი მებრძოლი იყო, როგორც კალმით, ისე მოქმედებით გერმანიის ნაციონალურათ განთავისუფლებისა და რესპუბლიკურ - დემოკრატული პარტიის დასაარსებლათ გერმანიაში. 1848 წელს, როცა გერმანიაში მტარვალი მეფეების წინააღმდეგ მოხდა მოძრაობა, კარლ ფოხტი საერო დროშის მატარებელი შეიქნა. ის, როგორც წარმომადგენელი თავის სამშობლო ქვეყ-

ნის გისენისა, შევიდა გერმანიის საერთო პარლამენტში დეპუტატათ. მაგრამ, როცა 1848 წ. რევოლიუცია დაამარცხეს და გერმანიის კაროლებმა ისევ ჩაიგდეს ხელში თვით-მპყრობელობა, კარლ ფოხტი განაძევეს თავის ქვეყნიდან. ამას შემდეგ ის გადასახლდა შვეიცარიაში, გახდა იქაურ მოქალაქეთ და იქიდან შიშის ზარს სცემდა თავისი გაცხოველებული სტატიებით გერმანიის მეფეებს, რომელთაც აბრალებდა გერმანიის ერის პოლიტიკურათ დამცირებას და დაყოფას. ის ისაია წინასწარმეტყველსავით ღაღადებდა: „მალე მოვა დრო, როცა გერმანიის ერი დაამსხვრევსო თავის მტარვალების ბორკილს და შეერთდებაო ერთ ნაციონალურ (საერო) დროშას ქვეშ“. შვეიცარიაში კ. ფოხტი შეიქნა შვეიცარიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ფაზის მომხრე, რომელმაც დაამყარა წმინდა რესპუბლიკურ-დემოკრატული წეს-წყობილება და უმაღლეს წოდების წარმომადგენლებს ძალა მოუსპო.

ჩვენს ბედში მყოფ ხალხებისათვის კ. ფოხტისთანა კაცები მოგვაგონებენ ბეთლემის ვარსკვლავს, რომელიც გზას უჩვენებს დაჩაგრულ კაცობრიობას თავის ხსნისათვის.

როგორც ვიცით, მეცხრამეტე საუკუნემ წამოაყენა წინ ეროვნების და გვარტომობის განთავისუფლების პრინციპი. ამ შემთხვევაში ფოხტი მიემგზავსება დავით წინასწარმეტყველს, რომელმაც თავის ფსალმუნში წინასწარმეტყველურათ იგალობა: „შეითქვენ მეფენი ქვეყანისანი და მთავარნი შეკრბენ ერთათ ცხებულისა მისისათვის“... განვხეთქნეთ აპაურნი მათნი და განვაგდოთ ჩვენგან უღელნი მათნი“ (ფსალმუნი I.)

მართლაც კ. ფოხტმა თავის ფიზიოლოღიურ წერილებში მეცნიერულათ გამოიკვლია, რომ ერი, რომელსაც დაუკარგავს თავისი ენა, თავისი ცხოველმყოფელი სულიც თან გაუყოლებიაო. ასეთი ერი მიემგზავსება ცხოველთა გროვას, რომელსაც წართმევია თავისებური შემოქმედებითი ნიჭიო. იმას მოყავს მაგალითები ასეთი გადაგვარებული ერებისა, რომელთა შორის აღარ იბადებიან აღარც წარჩინებულნი თვით-ბუნებოვანი მეცნიერნი, აღარც თავისებურობით შესამჩნევნი მწერალნი და აღარც უმაღლესი ნიჭით შემკულნი მგოსანნიო.

გ. წერეთელი

---

## ჩვენი საჭირ-ბოროტო საქმე

ვის ხელში უნდა იყოს აღზრდა განათლება? — დედაკაცებისა. ვის ხელში უნდა იყოს ჩვენი ოჯახის ბედ-იღბალი? დედაკაცებისა. ვის ხელში უნდა იყოს სამშობლო ენის დაცვა?—დედაკაცებისა, ვის ხელში უნდა იყოს ჩვენი ყოფა-ცხოვრება, თვით არსებობის დაცვა?— კიდევ და კიდევ ვიტყვით დედაკაცების ხელში. განა არ გვიჭირს მათ განათლებაზე, მათ შკოლებზე ზრუნვა?

მერე რას ვხედავთ? ამისთანა მძიმე საქმეში განა ერთი ჯგუფი ქალებისა რასმე გახდება, თუ მთელი საზოგადოება ამ საჭირ-ბოროტო საქმეს არ მიიჩნევს თავის საკუთარ საქმეთ?

განა, გროშობით მოგროვილი ფული ჩვენგან რასმე გახდება, თუ მთელი ქართველი საზოგადოება არ დადგება ფეხზე და სულით და გულით არ მოჰკიდებს ხელს ამ საყოველთაო საქმეს? ვინ არ იცის, თუ უხეირო საძირკველზე აშენებული სახლი დიდხანს ვერ გაძლებს, რაც უნდა ზიზილ პიპილებით მორთო ოთახები.

მოგმართავთ თქვენ, თავად-აზნაურობავ, მიაქციეთ ამ მძიმე საქმეს ყურადღება და პირადი საქმეების გულისთვის, რომელიც იყო ყოველთვის დამღუპველი საქართველოსი, ნუ დაივიწყებთ ქალების აზრდას, მეტი ყურადღება მიაქციეთ ამ საქმეს.

ამ სამი წლის წინეთ მთელი დარბაზი გრიალებდა: „ქართველ ქალების მომავალ შკოლას უპირატესობა უნდა მიეცესო, დაუყონებლივ უნდა აღმოჩნდეს საჭირო წყაროო, მაგრამ თქვენი სიტყვები დარჩა სიტყვებათ იმ ერთი გუნდის კაცების წყალობით, რომელნიც ყოველთვის ძალას შეადგენენ და ჭახრაკს ატრიალებენ ჩვენი საზოგადოების საქმეებში.

„სკრაში“ ვაჟებისთვის უთუოთ უნდა დავაარსოთ შკოლა და ფული გვეჭირვებაო“! გაიძახიან ჩვენი მოკეთეები. „ოძისში ვაჟებისთვის უსათუოთ უნდა შკოლა დაარსდესო, რადგან შემომწირველის სურვილი ასეთიაო,—და აქაც ფული გვეჭირვებაო! განაგრძობენ იგინივე: „წინამძღვრიანთ-კარის შკოლას ვერ მოუსპობთ შემწეობას, რადგან შკოლა ველარ შეინახავს თავსო და დაიღუპებაო“!—სამართლიანათ სჯიან კიდევ ისინი.

რა შეედრება ჩვენს ბედნიერებას, თუ კი ერთ მტკაველ ადგილზე გვექნება სამი სამეურნეო შკოლა ვაჟიშვილებისთვის; მაგრამ აქ რაღაც ეგოისტური საქმე გამოდის: ერთს ყველაფერიო და მეორეს არაფერიო.

უამისოთაც დაგვიანდა ქალების აზრდა. მოუშველეთ, თორემ ოჯახი გვეღუპება, მამული სხვის ხელში გადადის უდედკაცობით და ჩვენ ვრჩებით პირში ჩალა გამოვლებული.

ან. თ. წ.

## სხვა-და-სხვა ამბები

კვალის“ პრემია „თამარ მეფე“ უკვე გამოგზავნილია ხუთ მაისს „რუსეთის გემთა საზოგადოების“ საშუალებით. იმედია, ამ ორ კვირაზე მოატანს თბილისს და მიღებისათანავე დაურიგდება.

***

ჩვეულებისამებრ ბაქოელ ქართველებმა წელსაც გამართეს საქველ-მოქმედო საღამო და მიაწოდეს წერა-კითხვის საზოგადოებას ათას-ორასი მან.

***

ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ვლადიმერ ალექსეევ-მესხიევი წავიდა საქიმოთ ხარკოვს და გაელით კავკავში ორი წარმოდგენა უნდა გაემართა ბ. ავალიშვილის დახმარებით:

***

კვირას გამართულ „ლატარია-ალეგრიმ“ მუშტაიდის ბაღში ჩინებულათ ჩაიარა. კარგი დარი იყო და საზოგადოება მრავლათ დაესწრო. შემოსავალი ორას თუმანზე მეტი დარჩა.

***

ცხრა მაისიდან თბილისის საადგილ-მამულო ბანკის კრება დაიწყო. ანგარიში დამტკიცდა და ბანკის გამგეობის წევრებს ჯამაგირი შეუმცირეს, თითო გამგეობის წევრს ექვსას მანეთზე დაუყენეს, რადგან ამ წელს დივიდენტი ბევრი ერგოთ. საზოგადო საქიროებისათვის წელს ბანკის მოგებიდან გადიდება 77,289 მან. 69 კ. აქედან ქართულ დრამატულ საზოგადოებას მიეცემა ასი თუმანი.

## საკვირველი აღმოჩენა

გამოჩენილი არხეოლოგი პეტრე ფილენდერი აცნობებს ედინბურგის საგეოგრაფიო კრებას, რომ ეგვიპტეში ქალაქ თების ჩდილოეთის მხრით ოც-და-ათი მილის სიშორეზე ორი-ათასი სასაფლაო აღმოჩენილა ჯერეთ ევროპისთვის უცნობის ხალხისა. ეგვიპტელებს ჩვეულებათ ჰქონიათ, მკვდარს სამარეში ჩააწვენდენ ხოლმე და თან რამე საქონელსაც ჩაატანდენ, ანუ მუმიათ გააკეთებდენ. ზემო მოხსენებულს სასაფლაოებში, არც ერთი არა აღმოჩენილა რა ეგვიპტელების ჩვეულებებისა. მკვდრები სამარეში დაყუნცებულები, ანუ დაყუყებულები ყოფილან და ყველას ნიდაყვები მუხლებზე ჰქონიათ დაბჯენილი. ფილენდერის აზრით ეს ხალხი ქრისტეს მოსვლის სამი-ათასის წლის წინანდელი უნდა იყოს— ამბობს აქაური ერთი ოსმალოს გაზეთი.

ისე რაჭველი

P. S. დღეს დიდი ყურადღება არის მიქცეული ძველთა მკვლევარ-მეცნიერებისა ამ რიგი საქმის შესახებ ეგვიპტეში. კაი ხანია, რაც ცდილობენ, ალექსანდრე მაკედონელის სასაფლაოს მიგნებას, თუმცა რასაც ეძებდენ ის ვერ იპოვეს, მაგრამ ისე კი ბევრი საკვირველი რამეები აღმოაჩინეს. ახლა ეგვიპტეში დიდი მუშაობა არის გაცხარებული და დიდი ფულიც იხარჯვის ამ საგნისათვის. ი. რ.

## ქარიშხალი

თვალ უწვდენელსა ველსა გაყინულს
დაჰყურებს შავათ ცა პირ-შეკრული
და ცას ღრუბლიანს, სინათლე მიხდილს
შებჟუტავს მიწა თეთრათ მორთული.
ყინვა კაპასობს და მეტის-მეტათ
სუნთქვასა ხუთავს, ცეცხლივით მწვავი
და სისხლსა ებრძვის საშინლათ მედგრათ,
სიცოცხლის მტერი გულის მჩაგრავი!..
რაღაც აზვავდა ჩრდილოეთის მხრივ,
ქარმაც მობერა მარჯვნივ და მარცხნივ,
ამტვერდა თოვლი; არც გზა, არც კვალი,
ღმუის, ბოროტობს, ძალობს ავდარი...
დაჰკრა გრიგალმა და შეიზარა
სულ არე მარე მიწაც და ცაცა,
თითქოს ზეცამა ჯავრი იყარა
წყევლა და რისხვა ქვეყანას დასცა.
ვით ზღვა მღელვარე გახელებული,
შეიძრა ველი თოვლით მოსილი,
მოთქვამს და ტირის, იბრძვის და ყვირის
თვით ჯოჯოხეთის ძალით ავსილი.
და ჰა! ბუნების კანონი შეწყდა,
ამ ცოდვილ მიწას ვარსა ყოფს ღმერთი,
და მიწა ზეცას კვლავ შეეხეთქა.
დაბნელდა: მაგრამ როგორც რომ წვეთი,
გულშიგან ჩამრჩა რაღაც იმედი
და ამ იმედმა შემასხა ფრთები,
შორს გამიტაცა—მანატრა ბედი
იმ მიწის, სადაც ამაყი მთები,
შორ-ახლო მხარეს გადმოცქერიან
და ათას ნაირ ფრინველთა ხმები
ყვავილთ სიხშირეს ზედ დამღერიან,
სადაც ცა ლია, ღვთაების ტახტი
დაჰყურებს მიწას პირ-მომცინარე
და მის ღიმილით, ალერს-ალვსილით
ტკბება და ლაღობს სულ არე-მარე.
სად დილის ცვარი ალმასის მგზავსი,
მზის ოქროს სხივებს ეთამაშება,
მაღლით ნიავი წყნარი და ნაზი
მცენარეს კოცნით მიეპარება.
სადაც წყაროთა ტკბილი ჩურჩული,
„ძლის პირებს“ უმღერს მთვარიან ღამეს;
შმაგი ბულბული თავ-განწირული
სატრფო კოკობ ვარდს დასტვენს და დაჰყეფს...
იქ სამოთხეა, აქ ჯოჯოხეთი
აქ ცოცხალ-მკვდრობა, იქ უკვდავება
ვაი მას ვინცა ჩემსავით ერთი
აქ უთვისტომოთ მწირათ დაება.

კინიკინ .

## კრიტიკის კრიტიკა

(ფაქტორები ისტორიული პროცესისა ფხასი. „კვალი“
№№ 49-52 1894 წ.*)

ასე თუ ისე ბ-ნმა ფხამ დაარღვია თავისი პირველი მოსაზრება. ლოღიკა აღარც აქ ჩერდება, ის კიდევ ქვევით მიდის. თუმცა ავტორი ზევით გვეუბნება „მოთხოვნილებანი მჭიდროთ არიან ერთმანეთზე დამოკიდებულიიო“, მაგრამ ქვევით გვეტყვის ეს ასე არ არისო. აი, მისი სიტყვები: „ეკონომიურ“ მატერიალიზმს „რომ დაუჯეროთ მაშინ იძულებული ვართ მივიღოთ პოლიტიკური ინტეგრაცია (გაერთიანება), შედეგი საზრდოობის მოთხოვნილების, (რათ ცრუობთ, ეგ ხომ თქვენი შეთხზულია), მაგრამ ეს ასე არ არის. პოლიტიკური ინტეგრაცია გამოიწვია და დაბადა საზოგადოებათა შორის ატეხილმა ბრძოლამ, მაშასადამე იგი შედეგია თავის დაცვის მოთხოვნილების“. ასე და ამა პირსა ზედა. თავის დაცვის საქმეს, საზრდოობის მოთხოვნილება არ ეხება, მათ შორის არავითარი დამოკიდებულება არ არსებობს. ერთი თავისთვისაა, მეორე თავისთვის. ამას „ასაბუთებს“ მეორე მაგალითით: ერთა წოდებრივი განაწილება ომიანობამ გამოიწვია და არა ეკონომიურ ვითარებამო. „მაშასადამე იგი თავის დაცვ-ს მოთხოვნილებამ წარმოშობა და აწარმოვა“ ბ-ნ ფხას ერთ ჯიბეში თავის დაცვის მოთხოვნილება ჩაუდვია, მეორეში საზრდოობის მოთხოვნილება, ხან ერთს მოგვაჩვენებს და ხან მეორეს. დაანაწილა რა ასე გასაშტერებლათ ადამიანი, ბ-ნ ფხას თავის თავიც დაუნაწილებია, ის გასამებულა. პირველი ფხას ნათქვამს მეორე ანგრევს, მეორისას — მესამე. ერთი სიტყვით „რასაც ერთი მოიქმედებს მეორისაგან აძევს ძრახი“. რომელ ფხას მივცეთ პასუხი აღარ ვიცით. აი, თუ გნებავთ, მესამე ფხას გამოვესაუბროთ, თუ

*) იხ. „კვალი“ № 20.

პირველ ორმა ლოღიკას ფეხი გადააბიჯა, მესამემ ამას ისტორიაც დაურთო. ამას ჰგონია ერთა პოლიტიკური გაერთიანება ომის შედეგია. ეს რომ ასე ყოფილიყო ჩვენისთანა ბედნიერი ქვეყანაზე არავინ იქნებოდა. ოც-და-ერთი საუკუნის ისტორიული ცხოვრება—ომს წარმოადგენს, მაგრამ, სამწუხაროთ, პოლიტიკურ ერთიანობას ვერ ვეღირსეთ. ამდენი ხნის განმავლობაში, მხოლოთ ორას წელიწადს ვცხოვრებდით ერთ ნაციონალურ პოლიტიკის საფარველის ქვეშ და ისიც რაღაც ნაძალადევი გამოდგა. ევროპის ერთა გაერთიანება დაიწყო მაშინ, როცა ვაჭრობა ალებ-მიცემობამ ფეხი აიდგა და ომიანობამ იკლო (XIV ს.) *) არც წოდებათა აღორძინების მიზეზათ ჩაითვლება ომიანობა. წინააღმდეგ შემთხვევაში რატომ ველურ ხალხებში არ არის წოდებები? წოდება ნიშნავს შრომის განაწილებას: ერთი მხედარია, მეორე მუშა, პირველი მეორეს იფარავს, მეორე პირველს არჩენს, ე. ი. საზოგადოების ერთი ნაწილია საკმარისი, რომ მთელი საზოგადოება დაცულ იქმნას, მაშინ როდესაც წინათ იმავე მიზნის მისაღწევათ საჭირო იყო მთელი საზოგადოების ამხედრება (ველური მდგომარეობა). ცხადია, ერთი მეომარი იმდენსავე აკეთებს რამდენსაც წინანდელი ორი და სამი. მაშასადამე სამოქმედო ძალა გაძლიერებულა ახალი იარაღების და სხვა საშუალებების წყალობით. მეორე მხრით, საზოგადოების ერთმა ნაწილმა ყველა რომ არჩინოს, საჭიროა თითო მუშამ მოიმუშაოს ორის, ან მეტის საყოფი, რაც დამოკიდებულია იგივე სამოქმედო (ანუ საწარმოვო, სულ ერთია) ძალის აღორძინებისაგან. თორემ, რამდენიც უნდა იომო, თუ ასეთი ეკონომიური განვითარება არ მოხდა არასოდეს შრომის განაწილება არ მოხდება. ბ-ნ ფხასთვის ისტორია მეფეთა ტახტზე ასვლა ჩამოსვლა ყოფილა. აქ გამეფდა ცეზარი, იქ ნაპოლეონიო, რის გამო ძირითადი ცვლილებები დატრიალებულა. ერთი სიტყვით ხელში აულია ილოვაისკის ისტორიის სახელმძღვანელო და ფაქტებს გვითვლის. მას რომ „ეკონომიური“ (დიალექტიური) მატერიალიზმი შეესწავლა და ისტორიაც უყურადღებოთ არ დაეტოვებია (ილოვაისკი არ კმარა), გაიგებდა, რომ რომის ისტორია—ეს პლებეების და პატრიციების შეჯახების ისტორიაა; ამ საუკუნის საფრანგეთის ისტორია წარმოადგენს ბურჟუაზიის ბრძოლას, წინააღმდეგ თავად-აზნაურობისა ერთ მხრით და მუშა ხალხისა მეორე მხრით. ამათი ნაყოფია ცეზარიც და ნაპოლეონიც. ბ-ნი ფხა ასეთ დასკვნამდი მისულა: „ყველა ეს ისტორიული ფაქტებია—შეგვეძლო მათი რიცხვი გაგვემრავლებინა,—(ილოვაისკი მთლათ უნდა გადმოგეწერათ) უტყუვრათ გვეჩვენებინა (მაშ რაღათ ლაპარაკობდით ამდენს, თუ კიდევ საჩვენებელი გაქვთ), რომ პოლიტიკურს ძალასა და წყობილებას საგრძნობელი (მეტი არა?) გავლენა და ზედ-მოქმედება ჰქონია საზოგადოებასა და ისტორიაში მომხდარ მოვლენაზე“. ეს დასკვნაა თანამედროვე მატერიალიზმის წინააღმდეგ, იმ მატერიალიზმის, რომელიც პოლიტიკურ ძალას თვლის ეკონომიურ ცვლილების იარაღათ და ეკონომიურ ძალას პოლიტიკურ უფლებების ბურჯათ. ყოველივე ეკონომიური (კლასსიური) ბრძოლა არის ბრძოლა პოლიტიკური—ამბობს მარქსი. ბ-ნი ფხა კი აკეთებს ამდენ ლოღიკურ და ისტორიულ ნახტომებს, რომ ეთქვა პოლიტიკურ ძალას „საგრძნობელი“ გავლენა აქვს ისტორიაშიო. აი, სწორეთ ამას ჰქვია წყლის ნაყვა.

ნ. ჟორდანია

(შემდეგი იქნება)

*) რა გავლენა აქვს ომიანობას ხალხთა ერთობაზე იხ. ზემოთ მოხსენებულ ჩვენს წერილებში.

# ს ვ ი მ ო ნ ხ ე ლ ი

(ისტორიული მოთხრობა)

## XI

შემდეგი *)

ამ ომიანობას შემდეგ რამდენიმე წელიწადი შეიდობიანობა იყო, ოსმალები ველარა ბედავდენ საქართველოში გადმოსვლას. ათაბაგათ ახლა მანუჩარი იჯდა, სვიმონ მეფის სიძე, და საათაბაგო თითქმის შემოერთებულ მხარეთ ითვლებოდა. მართალია, საათაბაგოს ზოგიერთი თავადები ჯერ ისევ ოსმალეთისაკენ იწევდენ, მანუჩარს ეწინააღმდეგებოდენ, მაგრამ სიმამრის შემწეობით მანუჩარს მაინც ხელში ეჭირა ისინი. კახთ-ბატონმა ალექსანდრემაც ხომ მტრობა აღარ დაიჩინა, როცა გარემოებებმა იძულებული გახადეს ის ასე მოქცეულიყო.

სვიმონი ახლა ისევ სახემწიფოს განგების და აშენების საქმეს შეუდგა. ამ დროს იყო, რომ ის ცდილობდა შეემცირებინა როგორმე სახემწიფო გა-

*) იხ. „კვალი“ № 20.

დასახადი ხალხისათვის, რადგან ომების დროს მეფე იძულებული იყო ეს ხარჯი ას მარჩილამდის აეყვანა კომლზედ, თუმცა ამ მხრივ ცდა თითქმ-ს ამაო იყო, რადგან სახემწიფოს ისევ დიდი ომები და დიდი ხარჯი მოელოდა.

სვიმონმა იცოდა, რა ავი თვალით უყურებდენ ოსმალები საქართველოს ძლიერებას, იცოდა, რომ ხონთქარი, ეს საქართველოს დაუძინებელი მტერი, პირველ მარჯვე შემთხვევით ისარგებლებდა იმის დიდების დასარღვევათ, ეს ყველაფერი კარგათ იცოდა მეფემ და დიდი გულმოდგინებით შეუდგა ციხეების შენებას, გამაგრებას. სპარსეთ-ს მხრიდან-კი აგრე რიგათ არ ეფიქრებოდა მეფეს.

— სპარსეთი დაჰზავებია ოსმალეთს, მაგრამ ეს ზავი ხან-მოკლეა, ამაო: ყაენი ვერასოდეს ვერ დაუმეგობრდება ხონთქარს, იმათ ორივეს ერთსა და იმავე ქვეყნებზედ უჭირავთ თვალი. სპარსეთს ყოველთვის სასიამოვნოთ დარჩება, თუ საქართველოში ძლიერი მტერი ეყოლება ხონთქარს. ოსმალები უნდა გავდევნო მთელ საქართველოდან. შაჰ-აბაზი გამჭრიახი კაცია, იმას, როგორც შორ-გამჭვრეტელ კაცს, ჩრდილოეთისაკენ უჭირავს თვალი, ეშინია საქართველოს შევარდენი ჩდილოელს არწივს არ დაუმეგობრდეს და ორივემ ერთათ სპარსეთის ლომზედ არ გაინავარდონ, მაგრამ სანამ მე ცოცხალი ვარ, ეს შიში უსაფუძვლოა: მე მსურს საქართველოს შევარდენი თავისუფლათ დანავარდობდეს, როგორც შეშვენის იმის სიამაყეს; კიდეც ამისთვის მემეგობრება შაჰ-აბაზი და მეგობრათაც შემრჩება ბოლომდის, ფიქრობდა მეფე.

— სვიმონმა არც ეკკლესიები დააგდო უყურადღებოთ: დაუწერა სვეტიცხოველს, სიონს ბოძების გუჯრები, შეამკო და დაასაჩუქრა სხვა ეკკლესიებიც. ისე ექცეოდა ეკკლესიას და სამღვდელოებას, როგორც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, თუმცა გარეგნობით ისევ მაჰმადიანათ ირიცხებოდა, ეკკლესიას ჯერ არ დაჰბრუნებოდა, როდესაც ერთხელ ქათალიკოზმა გაუბედა მეფეს და თხოვა საჯაროთ ეთქვა თავისი ცოდვა და აღეარებინა თავისი თავი ისევ ქრისტიანათ, სვიმონმა უპასუხა;

— არა. ყოვლად სამღვდელოვ, ჯერ არა: მე ეს ცოდვა მოვიქმედე სამეფოს დახსნისათვის, მსურს ჯერ სამეფო მთლათ დავიხსნა, შევაერთო. როცა ამ მძიმე საქმეს შევასრულებ, როცა ღვთისმშობლის ხვედრს ქვეყანას მთლათ გავწმენდ უცხოტომებისაგან, მაშინ შევევედრები დედას ღვთისას; იქნება მიიღოს იმან ეს ჩემი კეთილი საქმე მსხვერპლათ, შემინდოს.

ეს დრო ბედნიერი დრო იყო ქართველებისათვის. ბედნიერება უფრო სრული იქმნებოდა, თუ მეფეს ხანდისხან თრიაქისათვის არ დაეტანებინა ძალა, სვიმონი თრიაქს სპარსეთშივე შეჩვევოდა ტყვეობის დროს, ახლა უფრო უმატა იმის ხმარებას. თრიაქით გონება მიბნედილი მეფე თავს ველარ იჭერდა და მკაცრათ, უდიერათ ეპყრობოდა ზოგიერთ დამნაშავეებს; მტრებთან ბრძოლის დროსაც-კი უმტყუნებდა ხოლმე ამ შემთხვევებში გამოცდილება და აზრი. ამისთანა მდგომარეობაში იყო მეფე, როცა ბძანა გადაეყარათ გელიყარნახის კლდიდან ყორლანაშვილის ცოლშვილი,—იმავე გელიყარნახის კლდიდან, საიდამაც თითონ ყორლანაშვილი გადააგდო საჩინომ. ამავე მდგომარეობაში იყო, როცა გორის ციხესთან უაზროთ, მარტო ქინის მოსაკლავათ გააწყვეტინა ხალხი ოსმალებს და თავის ძმისწული გოჩაც იმსხვერპლა.

ეს უკანასკნელი შემთხვევა გულში დაღათ ჩააჩნდა ხალხს.

— კაცო, მეფე კი არის მაგრამ განა შეიძლება რალაც მწვანილის გულისათვის,— აქაო და თვალითა ვხედავთ, სუფრაზედაც მომიტანეთო,—ხალხი გააჟლეტინოს?! იტყოდენ ხოლმე, როცა ამ ამბავს მოიგონებდენ.

— არა, მართლა რომ თქვას კაცმა, მეფის მახლობელნიც კი იყვენ მაშინ დამნაშავეები: ბიჭო, მეფემ ბძანა, მაგრამ რაუყოთ? ხომ ხედავენ მტკნარი უაზრობა იყო რაზმის გაგზავნა იქვე ციხის კედლებთან მდებარე ბალებში მწვანილ-ს დასაკრეფათ. როგორმე უნდა დაეშოშმანებინათ მეფე.

— სხვა სხვის ომში ბრძენიაო... აბა, ერთი შენ ყოფილიყავი და ვნახავდით შეჰბედავდი თუ ვერა სიტყვის შებრუნებას შექეიფებულ სვიმონ მეფეს, იტყოდენ სხვები.

ამისთანა შემთხვევებში ოჯახიც კი ეკრძალებოდა მეფეს.

— ხელია, ნამდვილი ხელი! ტყუილათ კი არ დაარქვეს ეს სახელიო ამბობდენ.

სამეფოს გამაგრებას და აშენებას ცდილობდა სვიმონი, თან თვალი იმერეთისკენ ეჭირა. უნდოდა ახლა ლიხს იქით მდებარე საქართველოს ნაწილების შეკრება, ისევ თავის სამეფოსათვის შეერთება. არც ძალიან ძნელი ასასრულებელი იყო მაშინ ეს საქმე, რადგან სვიმონის სახელი დასავლეთ საქართველოში გაითქვა და ბევრი იყო იქ გაცალკევების მოწინაამდეგე. მართლაც, როცა სვიმონმა სანდო კაცები გაგზავნა იმერეთში იქაური გავლენიანი კაცებისათვის პირის საკითხავათ, იმათ მაშინვე მტკიცე პირობა მისცეს დახმარებისა, თუ სვიმონი გადავიდოდა იმერეთს თავის ჯარით. მეფეს რომ მოუტა-

ნეს ეს კარგი ამბავი, დააპირა იმერეთზე გალაშქრება. მიზეზათ ის მოიდვა, იმერლები რომ მაჰმად-ფაშას საშველათ წამოვიდენ და ქართლის სოფლები დაწვეს.

გადავიდა თუ არა სვიმონ მეფე იმერეთს, მაშინვე მიემხრენ იმათ ზემოური თავადები თავიანთ ყმებით. იმერეთში მაშინ ლევანი მეფობდა. სცადა ლევანმა წინააღდეგობა, მაგრამ ამაოთ: სვიმონმა ერთი შეტევით გაფანტა იმისი მომხრე რაზმები, სულ ცოტა ხანში დაიჭირა იმერეთი, შემოუერთა თავის სამეფოს, ჩააბარა სიმაგრეები თავის მომხრე იმერლობას გამარჯვებული დაბრუნდა უკან.

ამ ამბავმა ძალიან შეაშინა დადიანი და გურიელი. კარგათ იცოდენ, რომ ახლა ჯერი იმათზე მიდგა და დაასკვნეს შეეყენებინათ სვიმონის წინსვლა. გურიელი და დადიანი მტრები იყვენ ერთმანეთისა, ამ საერთო განსაცდელმაც ვერ შეარიგა ისინი; ეს იყო მიზეზი, რომ გურულები და მეგრელები ერთათ არ მოქმედებდენ, დადიანმა შეკრიბა ჯარი, მოიშველა აფხაზები, შემოესია იმერეთს, აიღო სიმაგრეები, დასვა ქუთაისს მეფეთ როსტომი და დაბრუნდა. გაიგო გურიელმა, შეკრიბა ლაშქარი, მიიშველა ოსმალები, შეესია იმერთს, დაიპყრო ციხეები, განდევნა როსტომი, დასვა მეფეთ ბაგრატი.

სვიმონი ძვირათ აფასებდა იმერეთს, ეს ადვილათ ვერ დაუთმობდა ვერც დადიანის, ვერც გურიელის მომხრეს. შეკრიბა ლაშქარი, გადავიდა იმერეთს, დაატყვევა ბაგრატი, გამოართვა წარჩინებულებს მძევლები, ჩააყენა ციხეებში თავისი ჯარი და დაბრუნდა თბილისს.

სვიმონ მეფე ახლა დაიმედებული იყო, რომ ვეღარავინ წაართმევდა იმერეთს, რომ ბევრი აღარა აკლდა-რა საქართველოს შეერთებას, მიზნის მიხწევას. ეს იმედი ულიმოდა სვიმონს, ესევე იმედი ახალისებდა შეგნებულ ქართველებს: იცოდენ, რომ საქართველოს დიდება იმის ერთობაშია. მაგრამ გაისმა უსიამოვნო და საშიში ხმები: მოვიდა ამბავი, რომ ოსმალეთი გამოლაშქრებას აპირებსო, რომ ოსმალებისაგან წაქეზებული დადიანი დიდი ჯარით წამოუძღვა როსტომ მეფეს იმერეთში, ქუთაისი აიღო და როსტომი მეფეთ დასვაო. სვიმონს ეს ამბები ძლიერ ემძიმა, გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოთ დაეპყრა მთელი დასავლეთი საქართველო. დიდი მზადება დაიწყო.

ვ. ბარნოვი

(შემდეგი იქნება)

## საქველ-მოქმედო საქმე

გიგზავნით ქ. კავკავში შეგროვილს სამოცდაექვს მან. ზეპირ-სიტყვაობის ფონდის სასარგებლოთ და გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენ პატივცემულ ჟურნალ „კვალში“ გვარი და რაოდენობა შემომწირველთა :

10 მ. გ. ქორქაშვილმა

5 მანეთი: კნ. ა. გ. ჭავჭავაძისამ, კნ. ე. გ. სიდომონოვ-ერისთავმა და ა. გ. მამუჩაშვილმა.

4 მ. №№

3 მანეთი: ი. გ. შვილევმა, ა. ბ. ჭიჭინაძემ, ტ. ბ. კახიძემ, კნ. ი. მ. ლორთქიფანიძემ, ბ. დ. ევანგულოვმა, ი. ბ. ჩითაშვილმა.

2 მანეთი: კნ. ნ. რ. ხიმშიაშვილმა, კ. გ. დ. ვეზირიშვილმა, ი. ს. მესხიშვილმა, ი. ვ. ფანიაშვილმა.

1 მანეთი: გ. როინაშვილმა, ზ. ს. მესხიშვილმა, ი. ილურიძემ, გ. ჯონჯოლაძემ, პ. ლობჯანაძემ, პ. მეფურნიშვილმა პ. გედევანიშვილმა და №-მა

50 კაპეიკი: ა. ლობჯანაძემ, მ. ლობჯანაძემ. ი. ბეროზაშვილმა, ს. ქენქაძემ, ს. ჯონჯოლაძემ და გ. ჯავარიშვილმა.

სულ 66 მან.

ჩემათ დიდ მადლობას ვუხდი ბ-ნ ევანგულოვს და ილურიძეს, რომელთა ფულის შეგროვებაში შემწეობა აღმომიჩინეს და შემომწირველთაც, მეტადრე იმათ, რომელნიც თვითონ მოდიოდენ ხელის მოსაწერათ.

იმედია, სხვანიც მიჰბაძვენ კავკაველებს და გაუგზავნიან თავიანთ წვლილს ამ საშურო საქმეში, როგორიც არის ზეპირ-სიტყვაობის საერო ფონდი.

ი. ფანიაშვილი

ყვირილიდან მოგვივიდა სამი მანეთი ალექსანდრე ივანეს ძე წულუკიძესაგან ამავე მიზნისთვის. აღრინდელი ფულით შედგება სულ 326 მან. 50 კაპ.

## ჭალის წმინდის გიორგის ეკლესია

(გ. წერეთლის არხეოლოგიურ ექსკურსიიდან ყვირილის ხეობაში)

ჭაჩხერიდან აღმოსავლეთით რვა ვერსზე მდებარებს მდ. ყვირილის პირათ სოფ. ჭალა. შუაგულ ამ სოფლისა მდინარის მარცხნით, ბეგზე დგას ერთი პატარა ეკლესია მეთუთხმეტე საუკუნის გასულს და მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს აშენებული. ეს ყოფილა კარის ეკლესია ერისათვის აბაშ აბაშიძისა. თვით ეკლესიის კედლები შიგნით დახატულია და მხატვრობა საკმაოთ კარგათ შენახულა. ჩრდილოეთის კედელზე კანკელის მახლობლათ დახატულია აქ მოყვანილი სახეები ეკლესიის აღმაშენებლებისა: აბაშ აბაშიძესი და მისი მეუღლის კეკლოცასი. აქვე ამ კედლებზე არის დახატული მთელი ოჯახი ერისთავის აბაშიძის, ძმის აბაშ აბაშიძის ლომინის და მისი მეუღლის გულნარასი. ამათ შემდეგ დასავლეთით დახატულია აგრეთვე მესამე ძმა იანკო აბაშიძე. საყდრის ზემოთ აღიმართება კარგათ მოზდილი მაღალი სერი, საიდანაც გადმოყურებს ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც დღეს გამხდარა აბაშიძეების სასაფლაოთ. სამხრეთის შესავალ კარებზე არის შემდეგი ზეწარწერა:

წ: სახელითა ღვთისათა:. მეოხებითა:. ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისათა:. მე აბაშიძემა . აბაშმა:. აღვაშენე:. საყდარი ესე:. ბეთლემისა:. ღვთისმშობლისა˙. სულისათვის:. მეუღლისა ჩვენისა:. ჩიქავაძის ასულისა˙. კეკლოცასათვის˙. რათა მეოხ დამფარველ ექმენ დღესა მას:. დიდსა:. განკითხვისასა:. აღეშენა:. ქკს:. რ.ქ.ჱ. წ. ქრისტე შეიწყალე:. გალატოზი:. ხატელიშვილი:. და მონა მლოცველი:. გიორგი:.



ჭალის წმინდის გიორგის ეკლესია.

---

## გაკვრით პასუხი *)

მაგრამ არა, ასე მშრალათ მაგათი გაშვება კიდევ არ შეიძლება. ჩვენ ვერ მიუტევებთ მაგათ იმ ლოღიკის ღალატს, სხვა რომ ყველაფერი მივუტევოთ, —ეს ყველასათვის სამარცხვინო საქმეა. მკითხველმა ხომ იცის, რომ ბ. ვ. წ. ისე, როგორც ბ. ლალი და მათი თანამოაზრენი, უარს ჰყოფენ ჩვენში კაპიტალისტური წარმოების არსებობას. ახლა დაუგდეთ ყური, თუ ისინივე რას მოგვითხრობენ იმავე კითხვის შესახებ. „კაპიტალიზმ | მc

*) იხ. „კვალი“ № 20.

ამბობს ბ. ვ. წ.—უკვე მოჰხვია ჩვენს ხალხს თავისი ძლიერი ხელები, ბევრგვარათ შეჰცვალა ჩვენი ეკონომიური, ზნეობრივი და გონებრივი ვითარება“. . „უკაპიტალიზმოთ ცხოვრება ახლა შეუძლებელია“. ამას შემდეგ ავტორი გვიმტკიცებს, რომ საქართველოს ყველა ნაწილებში უალებ-მიცემოთ ახლა შეუძლებელია ცხოვრება. ამნაირ აზრს ქადაგებს ჩვენი ავტორი თანახმათ ბ. ლალისა, რომელიც მრავალ თავის წერილებში ამავე აზრს ლალადებს საქვეყნოთ; სხვათა შორის ბ. ლალი ამბობს: „კაპიტალიზმი მხოლოთ ახლა იწყებს ჩვენს ქვეყანაში ფეხის მოდგმას“. . „ეჭვი არ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ახლა დიდი ეკონომიური კრიზისია, რაღაც ცვლილება ხდება, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს მასალა“[1]) და სხვ. მკითხველო, ხომ ამჩნევ: საკვირველი თანხმობაა ბ. ბ. ვ. წ—სა და ლალს შორის, მხოლოთ ბ. ვ. წ—ის შენიშვნა ჩაურიეთ: „თუმცა სხვა სიტყვებით სხვა ტერმინებით“. განა ამაზე მეტი გონების და ლოღიკის ღალატი შეიძლება? ვის იღებთ, ბატონებო, აბუჩათ: თავის თავს, თუ მკითხველებს? ყველაფერი ცრუ აზრის დათესვა რომ გაპატიოთ, ამნაირი დანაშაულობის პატიება სწორეთ არ შეგვიძლია. როგორ წარმოვიდგინოთ, ერთ და იმავე საგნის შესახებ ერთ და იმავე წერილში „ჰოსაც ამბობთ და არასაც?“ თუ თქვენვე, ბ. ვ. წ—ო, ბ. ლალის თანახმათ (თუმცა „სხვა ტერმინებით“), გვიმტკიცებთ, რომ ჩვენში კაპიტალიზმი არ არსებობს, იმავე დროს რომელი გამოუცნობი ნახტომის ძალით ამტკიცებთ ამისვე წინააღმდეგს, რომ კაპიტალიზმმა უკვე მოჰხვია ჩვენს ხალხს თავისი ძლიერი ხელებიო“?

მაგრამ როგორც უნდა გვატრიალონ ჩვენმა ავტორებმა სიტვების აქეთ-იქით სროლით, ის-კია ნამდვილი, რომ ისინი ძალა-უნებურათ ერთ რამ გარემოების გავლენას ქვეშ იმყოფებიან. შემცდარი არ ვიქნებით, თუ ალვიარებთ, რომ ეს გარემოება იგივე ბურჟუაზული წეს-წყობილებაა, რომელიც უკვე იბამს ხორცს და სისხლს ჩვენს საზოგადოებაში. ეს წეს-წყობილობა ჩვენდა დაუკითხავათ აქარწყლებს უმანდელ წეს-წყობილებას ეკონომიურ ურთი-ერთობათა და ამასთანავე პოლიტიკურ, იურიდიულ და გონებრივ ზედ-ნაშენებს. იგი ქმნის ახალ ეკონომიურ ურთიერთობებს და მათ შესაბამათ ზედ-ნაშენებსაც. ამ საერთო ევოლიუციას ემორჩილება სხვათა შორის ჭკუა-გონების მუშაობა და აზროვნება. ამიტომ რა გასაკვირალია, რომ ჩვენი ავტორები ძალა-უნებურათ ამ კანონის მსხვერპლი იყონ? თუმცა-ლა ცალიერი სიტყკებით კი გაიძახიან, რომ სადაა ჩვენში კაპიტალიზმი, სადაა ჩვენში კლასთა ბრძოლა, სულ ყველა ჩვენ ღარიბნი ვართო; სულ პროლეტარიებიო. მაგრამ რას იზამთ, როცა კაპიტალისტური წარმოების ნივთიერი, თუ სულიერი შედეგები გამჯდარი აქვთ ძვალსა და რბილში, რის გამო ბურანში მყოფ კაცსავით დროის-დროზე წამოიძახებენ: „შეუძლებელი იქნება ჩვენთვის ნატურალისტური წარმოების დაცვა კაპიტალიზმისაგანო“ (იხ. „ივერია“ № 73).

ახლა კი დროა ვიკითხოთ, თუ რას წარმოადგენს ჩვენი ხალხის აწინდელი „ნატურალისტური წარმოება“? აღნიშნავს ის ნამდვილ, მოვლენას. თუ უშინაარსო ფიქციას? ვინემდი ჩვენ ამ კითხვების განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას. სხვათა შორის ბ. ვ. წ. აყვედრის ს. ჯიბლაძეს, რომ შენ ერთი ფრაზა ამოგიგლეჯია მარქსის წიგნიდანაო, და უკეთესი იქნებოდა, რომ გეხელმძღვანელებიაო მარქსის მოძღვრების საერთო ხასიათითო, საერთო სულითო“. ამას შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ ბ. ვ. წ. თვითონ მაინც იხელმძღვანელებდა მარქსის მოძღვრების საერთო ხასიათით, საერთო სულით. მაგრამ ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ჩვენ, აბა, რაღა გვეთქმოდა ავტორის წინააღმდეგ. საუბედუროთ, ავტორს არა თუ ვერ შეუთვისებია მარქსის მოძღვრების საერთო ხასიათი, რაც მთელი აზროვნობის სრულიათ გადაკეთებას თხოულობს, არამედ მას ვერ შეუგნია მარქსის ვერც ერთი კერძო მსჯელობათაგანი. მოვიყვანოთ მაგალითი: სხვათა შორის მარქსი გვიმტკიცებს, რომ წვრილი მესაკუთრენი არიან ერთი უმთავრეს შემაფერხებელ მიზეზთაგანი, რომლებიც აგვიანებენ სოციალურ მდგომარეობის საერთო გაუმჯობესობის ხანას... ამის მიზეზი ის არის, რომ წვრილი მესაკუთრე სულ ყოველთვის ძველი დახავსებული წეს-წყობილების მომხრე და დამცველია; ის ყოველი ცვლილების დაუძინებელი მტერია, ერთი სიტყვით ის რეაქციონერია; მაგრამ იგიც ცხადია, რომ ამ წვრილ ბურჟუებს ისტორიულ მოძრაობის სულ დაყენება და მით უფრო უკან დატრიალება, არ შეუძლიათ; ისინი მხოლოთ აგვიანებენ შემდეგი ისტორიული ხანის დადგომას.. იმათი უჭურმამულოთ დარჩენა, რაკი ერთხელ იმათ შეყვეს ფეხი საქონლის წარმოებაში, აუცილებელია; მაგრამ რაც აღრე მოხდება ეს უმამულ-დედულოთ დარჩენა მით უფრო ადრე მივაწევთ შემდეგს ისტორიულ ფაზისს. აი, სწორეთ ნამდვილი აზრი მარქსისა წვრილ მესაკუთრეებზე, რომელთა რეაქციონური მიდრეკილებანი La petite bourgeoisie-ს სახელით იმან გა-

[1]) იხ. „ივერია“ 1895 № 19. შეადარე ამავე წლის შემდეგი №№ 33, 34, 35.

მოაშკარა თავის „Misere de la filosofie“-ში. ახლა მიმართეთ „ივერიის“ „მარქსისტებს“ ამ საგნის შესახებ და იქ გაიგებთ, რომ ჩვენი თავის ხსნა წვრილ მესაკუთრეთა არსებობაში მდგომარეობს, რომ „წვრილი მიწათ-მფლობელობა იქნება უპირატესი ფორმა ჩვენის ეკონომიურის მდგომარეობისა“. ვინაა მტყუანი და ვინ მართალი? ამას მხოლოთ ის გამოიცნობს, ვისაც მარქსის მოძღვრების საერთო ხასიათი შეუგნია.

მეორე მაგალითი. საყოველთაოთ ცნობილია ის ფაქტი, თუ რანაირი სიფრთხილით იქცეოდა კ. მარქსი, როცა ის მსჯელობდა რომელსამე საზოგადოებრივ მოვლენაზე. ყველამ, ვისაც ეს კითხვა ცოტათ, თუ ბევრათ აინტერესებს, იცის, თუ რა აზრის იყო ის რუსეთის მომავალზე, როცა ამ უკანასკნელმა მესამოცე წლების დასაწყისში თავი გაყო კაპიტალისტურ წარმოებაში. აქ არავინ იფიქროს, ვითომც კაპიტალისტური წარმოება რუსეთში გამოეწვიოს ყველასათვის კარგათ ცნობილ რეფორმებს. სრულებითაც არა; პირიქით, თვით ეს რეფორმები იყვნენ გამოწვეულნი უკვე არსებულის კაპიტალიზმის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ჩვენ აქ იმას ვამბობთ მხოლოთ, რომ, მარქსის აზრით და მსჯელობით, რომელსაც წინ მიუძღვის ფაქტიკური შემოწმება, როცა რომელიმე ქვეყანა თავს გაყოფს კაპიტალიზმის ჭახრაკში, ამ უკანასკნელის სამუდამოთ შეჩერება, და მით უფრო უკან დახევა, ყოვლად შეუძლებელი და ყოველნაირი კანონების წინააღმდეგია. ამას შეაჩერებს მხოლოთ ერთი გარემოება: მოულოდნელი სიკვდილი მთელი იმ საზოგადოებისა, რომლის წევრებიდან შედგება ის ქვეყანა, რაც ჩვენს დროში წარმოუდგენელია. მარქსი და მისი მიმდევარნი კაპიტალიზმის ამნაირ ზრდა-განვითარებას, მის ევოლიუციას ზოგიერთნი სამართლიანათ ადარებენ შობიერებას, როგორც შობიერება წარმოადგენს ფიზიოლოგიურ მოვლენას, შეერთებულს მწუხარებას ტკივილთან, ისე კაპიტალიზმის განვითარება არის სოციალური ევოლიცია განსაზღვრული ისტორიული ეპოქისა, რომელსაც თან მიყვებიან თავისი განსაკუთრებითი ტანჯვანი და ტკივილნი. მაგრამ, როგორც ნასწავლ ბებიებს შეუძლიათ შობიერების ტკივილთა შემცირება და თვით შობიერების ხსნის დამთავრების დაახლოვება, ისე შეგნებულ და მომზადებულ პირთ შეუძლიათ კაპიტალიზმის მსხვერპლნი შეამცირონ და დაგვიახლოვონ ის ხანა, რომლის მატერიალურ პირობებს თვით კაპიტალიზმი ამზადებს.

ჩვენი „მარქსისტები“, როგორც იცის მკითხველმა, ჯერ ხომ პირდაპირ უარს ჰყოფდენ ჩვენში კაპიტალიზმის არსებობას, მაგრამ როცა აუარებელ ფაქტებმა აიძულეს ისინი, რომ პირდაპირ ამის საწინააღმდეგო აზრი გამოეთქვათ, ე. ი. რომ „კაპიტალიზმმა უკვე მოჰხვია ჩვენს ხალხს თავისი ძლიერი ხელებიო“, მაშინ დაიწყეს ხელების დაბრმავებულათ ცეცება იქით-აქეთ ისე, როგორც წყალ-წაღებული კაცი ხავსს ჩაეკიდება. ამნაირათ ბ. ვ. წ., თავის თანამოაზრებით გვარწმუნებს, რომ „მარქსის მოძღვრება სრულიათაც არ მოითხოვს, რომ ჩვენში კაპიტალიზმი იმ ფაზისამდის მივიდეს, რა ფაზისშიაც ევროპაშია“ („ივერ.“ № 73). „კაპიტალიზმში თავი გავყავითო — ამბობს იგივე ავტორი, კაპიტალიზმი დაიწყო ჩვენშიო, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იგი უკვე დამთავრდა, რომ მან უკვე ჰძლია ძველი წესი წარმოებისა და, ვინ იცის, იქნება თავისდღეშიაც ვერ ძლიოს“ (იქავე). გაუშვათ უყურადღებოთ ის, რომ ცოტა ქვევით ავტორი თვითონვე აქარწყლებს თავის ნათქვამს, როცა ამბობს, რომ „ნატურალისტური წარმოება ვერ გაუძლებს კაპიტალიზმსო“. ჩვენ მივაქციოთ მხოლოთ ყურადღება იმ გარემოებას, თუ რა საბუთით ამტკიცებს ბ. ვ. წ. თავის აზრს კაპიტალიზმის ზრდა-განვითარების, ევოლიუციის შეჩერებაზე და შერყევაზე. ამ შემთხვევაში ბ. ვ. წ. სწორეთ განირჩევა ბ. ლალის და მისი თანამოაზრებისაგან, თუმცა ეს განსხვავება არც ერთის სასარგებლოთ არ ამბობს. თუ ბ. ლალი იმეორებს რუსეთის ნაროდნიკების მიერ ათასჯერ წარმოთქმულ და დაღეჭილ აზრებს რუსეთის კაპიტალიზმზე, ვ. წ. ამით სულ არ იწუხებს თავს. მას მოყავს მხოლოთ ირლანდიის და ოსმალეთის მაგალითი, სადაც, იანჟულის მოწმობით, არ განვითარდა კაპიტალიზმი. ირლანდიის მაგალითი აქ მოსატანი სულ არ არის, რადგანაც იქ სულ განსაკუთრებული პირობები მოქმედებენ. მაგრამ კაპიტალიზმის განვითარების საქმე თუ შეფერხდა იქ, ეს მხოლოთ დროებით, და ამ ჟამათ ირლანდია კაპიტალისტური მხარეა ისე, როგორც სხვა ევროპის, გინდა ამერიკის მხარე, და თვით ამ შეფერხების დროსაც ირლანდიაში მეფობდა კაპიტილისტური წარმოება, მხოლოთ უმეტესი ნაწილი მწარმოებელი კაპიტალისა ეკუთნოდა მის მჩაგვრელთ — ინგლისის კაპიტალისტებს, მექარხნეებს და ლენდლორდებს. რაც შეეხება ოსმალეთს, პირდაპი ალვიარებთ, რომ დღეს-დღეობით არ გვაქვს მის შესახებ საჭირო მასალა, და ამიტომ დაუჯეროთ ბ. ვ. წ—ის მოწამეს პროფ. იანჟულს, რომ ოსმალეთში ვერ მოიკიდა ფეხი კაპიტალისტურმა წარმოებამ. მართლა თუ ეს ასეა, მაშ იქ იქნება ის სანეტარო მდგომარეობა, რომელსაც „ივერიის“ პუბლიცისტების აზრით, წარმოად-

გენს ნატურალისტური წარმოება. და აი, სწორეთ ამიტომაც გაიძახის ბ. ვ. წ.: „თუ ჯერ კიდევ ცოცხალნი ვართ, ეს იმას უნდა მივაწეროთ, რომ ჯერ კიდევ მარჯვეთ ხელი ჩაგვიკიდნია ნატურალისტურის წარმოებისათვის, რომ ნატურალისტურის წარმოების სამფლობელოდან არ გამოვსულვართ და არც საჭიროა, რომ გამოვიდეთ“... („ივ.“ № 73). აი, ხედავ, მკითხველო? საღ მიგვითითებენ და რა ქვეყნის მაგალითს გვიჩვენებენ მისაბაძავათ ჩვენი „ეკონომისტ-ფილოსოფოსები?“ თუ ოსმალეთში ვერ იხეირა კაპიტალიზმმა, სწორეთ იმიტომ წასულა ეს ქვეყანა სხვა განათლებულ ქვეყნებზე წინ, სადაც კაპიტილისტურმა წარმოებამ სრულიათ შეცვალა მთელი ევროპის და ამერიკის ვრთა შინაგანი და გარეგანი შენობანი. მთელი ევროპის და ამერიკის მეცნიერება, მისი უმაღლესი ტეხნიკური სწავლა-განათლება და ხელოვნება და უმეტესათ ის პოლიტიკური წეს-წყობილება, რომელსაც ასე თავს დატირიან ჩვენი ავტორები, სულ ყველა ეს მკვიდრი შვილება კაპიტალიზმისა. მაგრამ ერთი კიდევ ვიკითხოთ, ოსმალეთის მაგალითს ჩვენთან რა ხელი აქვს? ამა ერთი ეშინჯა ბ. ვ. წ—ს და სხვა ქვეყანა დაესახელებია ჩვენთვის, რომლის მაგალითისთვის მაინც ღირებულიყოს მიბაძვა, თვარა ოსმალეთი? — და ისეთაც რომ იყოს, როგორც ამბობს თვით ბ. ვ. წ., ოსმალეთის მაგალითი ჩვენს ქვეყანას სრულებითაც არ ეხება, როგორც რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს, სადაც ბაჟების საშუალებით დიდათ შეჯერხებულია უცხო კაპიტალის მეტოქობა—კონკურენცია. მაგრამ დავანებოთ თავი ოსმალეთს და მიუბრუნდეთ ისევ ჩვენს პუბლიცისტებს.

სწორეთ გაჭირვებულია იმათი მდგომარეობა ისე, როგორც გასაჭირია ორ სკამზე ჯდომა. იმათ, ერთი მხრით, რამდენათმე მაინც ესმისთ სისუსტე და უვარგისობა ნატურალისტური წარმოებასა, რომლის დასაცავათ ისინი მოვლენილნი არიან ამა ქვეყნათ, მაგრამ, მეორე მხრით, სრულიათ გატაცებული არიან ყველა იმით, რაც შეადგენს კაპიტალიზმის ნამოქმედარს გონებით და ქონებით დაწინაურებულ და განვითარებულ ქვეყნებში. მაგრამ არა, ბატონებო, ჩვენი ხუცესი დღეში ორჯერ არ წირავს. ნუ თუ თქვენ იმდენათ ჯერ კიდევ უსუსური ხართ და გჯერათ, რომ შესაძლებელი იყოს რაიმენაირი თანხმობა ჩამოვარდეს ამ ორ ერთიმეორის მოწინაალმდეგე წარმოებაში? „Mais avec cette métaphisique la Bastile serait encore debout!“ თუ ეს გწამთ თქვენ კიდევ, მაშინ თქვენ ცხოვრებას ან არ გაკარებიხართ და ჰაერში გიცხოვრიათ, და ან მისი ავან-ჩავანის სრულიათ არა გაგეგებათ-რა. შემდეგში ამ საგანს ჩვენ უფრო დაწვრილებით შევეხებით, გარკვევით გავარჩევთ, თუ რაში მდგომარეობენ კაპიტალისტური და ნატურალისტური წარმოებანი, რაში გამოიხატება მათი წინააღმდეგობა და ერთი მეორისაგან განსხვავება. ალა-კი, დაპირებისამებრ, გვსურს ჩვენი პუბლიცისტების ყურადღება მივაქციოთ ჩვენი ერის ცხოვრებისაკენ და სულ მოკლეთ მაინც აღვნიშნოთ მისი მიდრეკილებანი. მკითხველმა უწყის, რომ ჩვენ აქ ვეხებით მხოლოთ შემდეგ კითხვას: რა ყოფაშია დღეს ჩვენში ნატურალისტური წარმოება“.

ფ. მახარაძე

(შემდეგი იქნება)

---

## ვისი ბრალია?!

როდესაც ჩვენში ბატონს ყმა ჩამოერთვა, საზოგადოთ ყოველგან და, კერძოთ გურიაში, ის სალი კლდეები, რომელიც ბატონსა და ყმას შორის იყო აღმართული და ერთმანეთში კავშირს უშლიდა, დაირღვა, დაიშალა და გასწორდა. ის ხრამები, რომელზედაც თამარ მეფესაც ვერ გაედვა ხიდები და ბოგირები, ისილება და სწორდება. დიახ, სწორდება და, ამას უნდა მიეწეროს, რომ გურიაში, იშვიათი მოვლენა აღარ გახლავს, რომ თავადის ქალი გლეხს ჰყავდეს და გლეხის თავადს ცოლათ. აზნაურსა და გლეხს შორის გათხოვ-გამოთხოვების სტატისტიკას ხომ ყველა გურიის ბლოლოჩინებიც ვერ შეგვიდგენენ, იმდენია. მიზეზი, ამ მოვლენისა? მიზეზი გახლავთ ფული, ანუ ეკონომიური გაუმჯობესება დაბალი წოდებისა. როდესაც დაინახა თავადის გასათხოვარმა ქალმა, რომ დავით დროიძის შვილი, დიდი ქონებიანი და ფულიანი კაცია, თვალ-ტანადთაც თავადს არ ჩამოუვარდება. ყველა თავად-აზნაური მასთან დაახლოვებულია და მისვლა-მოსვლა აქვს, იფიქრა. რა მიჭირს, რომ წავყვე ცოლათ ამ დიდ ქონებიან კაცს, რომელიც ჩემს სურვილზე მაცხოვრებსო... ქონება ნებას მომცემს, რომ სხვა-და-სხვა ქალაქები ვნახო, სხვა-და-სხვა წყლებზე წავიდე ზაფხულობით და ამ ორ დღეს ბედნიერათ ვიცხოვროვო. ვითომ რაო? კნეინას არ დამიძახებენ?

სალოცმესაც კი უძახიან კნეინას; მაგრამ „მჭადი არა აქვს საწყალს საჭმელი“. აი, ამ გვარი ფიქრებით კნიაჟ. ნატო მიჰყვება დავითის შვილს მიხაკოს ცოლათ და მართლაც ბედნიერათ ატარებს თავის ცხოვრებას, რადგან ორივე ერთი აზრის და ორივე ერთი მიმართულების ადამიანები არიან: მიხაკო და ნატოც. ეს მაგალითები სხვას ხიდებს უკეთებს და უადვილებს გზას, რომ მან უფრო უფიქრელათ და უშიშრათ გაიაროს ზედ. ამას შემდეგ რაზე გაგიკვირდებათ, ჩემო მკითხველო, რომ თავად-აზნაურთა და გლეხს შორის „ჩატეხილი ხიდი“ თანდათან მთელდებოდეს. მაგრამ ჩვენი პოეტის არ იყოს:

„ნაშთი ძველის დიდებისა
არ გამქრალა ჯერაც ყველა.
დღესაც მისი შარავანდით,
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა“.

სწორეთ ამ გვარი „ნიშანი“ მოგვცა 27 წარსული მარტის თვეში ერთმა თავადმა!.. თავადმა კი არა, უკაცრავათ—„კნიაზმა“. ხსენებულ რიცხვს ერთი ჩვენებური, გურული კნიაზი“ მობრძანებულა ერთი თავისი ნაცნობი ვაჭრის მაღაზიაში და ხელიც გაუწვდია. რა თქმა უნდა, ვაჭარს—მასზე უფროსი კაცი შემოდის და ხელს უწვდის, ჩქარა ხელი გამოურთმევია, მაგრამ ნუ იტყვით, თურმე „კნიაზს“ ხელის გამოსართმევათ-კი არ გაუწვდია ხელი, არამედ რაღაც საქონელი მიჩვენეო უნიშნებია; მაგრამ ხელის გაწვდა დიდი ხნით ადრე მოუხდა, ვიდრე საქონელს დაასახელებდა, რაც გულში ეწადა. ამიტომ „კნიაზი“ გაჯავრებულა და გაცამწყრალა!.. „როგორ თუ გაბედე ჩემი ხელის ჩამორთმევა, ნუ თუ არ იცი, ვინ ვარო!!.“ და სხვ.

ვაჭარს უთქვამს: „ბატონო, ხელი გამომიწოდე და ზრდილობა მოითხოვდა მაშინვე ხელი მომეცა, მით უფრო, რომ ჩვენებური კაცი ბძანდები და ნასწავლიო“. ერთი სიტყვით საქმე კინაღამ ჩხუბათ გადაქცეულა და საწყალ ვაჭარს იმდენი ლანძღვა და მუქარა შეხვდა, რომ იძულებული გახდა მომრიგებელ მოსამართლესთან თხოვნა შეეტანა. ვნახოთ, რა იქნება?.. შეიძლება მკითხველმა იკითხოს, ვინ ბძანდებოდა ეს „კნიაზიო“, რადგან ზოგიერთი კნიაზიდან ამგვარი ამბები არ არის გასაკვირველი? ეს ის „კნიაზი“ ბძანდება, რომელსაც მხოლოთ გლეხებთან და საწყლებთან აქვს საქმე; ეს ის კნიაზი ბძანდებოდა, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის კარებზე ალიზარდა; ეს ის კნიაზი გახლდათ, რომელიც ჩვენს მწერლობაშიაც მონაწილეობას ღებულობს და რამდენიმე მოთხრობებიც გამოცემული აქვს. ეს ის კნიაზი ბძანდება, რომელიც თვითონ იმ ვაჭრის სახლშიაც რამდენჯერმე ყოფილა ავათმყოფთან საექიმოთ და რა თქმა უნდა, როცა ფულები იქით მიჰქონდა ხელის გამორთმევაც არავისთვის არ შეზარებია. ეს ის „კნიაზი“... მაგრამ არა, არ ვიტყვი მის სახელს და გვარს, ამის გამოცნობას მივანდობ „ვისი ბრალიას“ ავტორს.

შეიძლება მკითხველმა თქვას, ეგ პირველი შეცდომა იქნება და რაიმე დასაკმაყოფილები მიზეზიც ექმნებოდაო? დამერწმუნეთ, რომ ეგ სახსენებელიც არ არის სხვებთან. ამ ვაქბატონმა ერთ დღეს ერთი საწყალი გლეხიც კი დაატუსაღებია ჩოხატაურის საპყრობილეში თავის დატვირთული ხარიან-ურმიანებ. საქმე, აი, როგორ იყო: ჩოხატაურის შოსეზე დატვირთული ურემი მოდიოდა და გლეხიც თან მოყვებოდა. წინ „კნიაზი“ შეხვდა თვისი კნეინით და ვიღაც გამომძიებელი. საწყალ გლეხს დაუყვირეს, რომ „ურემს გადაახვევიეო, გზა ჩვენ გვინდაო“ (ესენი ფეხით მიბძანდებოდენ სასეირნოთ). მაგრამ მოგახსენებთ, რომ დატვირთული ურმის გზიდან გადახვევინება ადვილი არ არის, რისთვისაც „კნიაზის“ ბძანებით, მასთან მოსეირნე გამომძიებელმა, საწყალი გლეხი, მთელ დღეს, საპყრობილეში გააჩერა უჭმელათ, —შეიძლება მეორე დღესაც შიგ ყოფილიყო. რომ მადლიანი კაცები არ გამოჩენილიყვენ და არ გამოეხსნათ საწყალი გლეხი!.. ეგეც არაფერია სხვებთან შედარებით, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს იყოს...

დარაჯი

---

ბ-ნ „ზემოურ სოსმანდის“ საყურადღებოთ

კვალის„ მე-17 ნომერში ბ-ნ ზემოური სოსმანდის წერილია დაბეჭდილი ს. ქიათურიდან. ეს წერილი შეეხება ქიათურის სამრეწველო ბოქაული, ბ-ნ არდიშვილის მოქმედებას. საქმის გასარკვევათ ოთხი კითხვა დაუყენებია, რომლებზედაც თხოვს პასუხის მიცემას, „როგორც ბ-ნ არდიშვილს, ისე სხვებს საქმის მცოდნეთ“. თვითონ ბ-ნი არდიშვილი რა პასუხს მიცემს,—რა მოგახსენოთ, ხოლო მე, როგორ ერთ ქიათურაში მცხოვრებთაგანს, ზნე-

ობრივ ეალათ მიმაჩნია, რომ ბ-ნ ზემოურ სოსმანდის მიერ დაყენებული კითხვების შესახებ *) ჩემი პირუთვნელი შეხედულობა გამოვთქვა.

კანონის აღმასრულებელთ, რასაკვირველია, არავითარი უფლება არ აქვთ, რომ საზოგადოებას გადასახადი დაადვან, გარდა ზოგიერთა ადმინისტრატიულ შემთხვევებისა. გადასახადის დადგენა ძალუძთ მარტო კანონმდებელთ, ხოლო დადგენილ-დაკანონებული გადასახადის შეწერა, განაწილება და მოკრება—კანონის აღმასრულებელთ.

წარსული წლის ივლისში, თუ აგვისტოში (კარგათ არ მახსოვს) ბ-ნმა არდიშვილმა რამდენიმეჯერ შეკრიბა ჩალვადარ-მეურმეები და თხოვა იმათ, რომ ქიათურის გასაუმჯობესებლათ თავიანთი წვლილი გამოეღოთ, მაგალითათ, ცხენზე თუ ურემზე კვირაში ორი შაური. ასეთივე თხოვნით მიმართა არდიშვილმა ყველა შავი ქვის მწარმოებელ კანტორას და თვით ქიათურის მცხოვრებელთ. ყველამ მიიღო ეს წინადადება. რისთვის მიიღეს, შიშით, ხათრით, საქმის შეგნებით, თუ შეუგნებლათ,—რა მოგახსენოთ. ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ბ-ნმა არდიშვილმა თავიდანვე აუხსნა ყველას, თუ რისთვის იქნებოდა საჭირო ეს ფულები, მაგალითათ: გზების შესაკეთებლათ, წყაროს ქვითკირით გასაკეთებლათ, დიდი საათის და ზარის შესაძენათ, ფარნების საყიდლათ და სხვა. ახლა საქმე მიდგა იმაზე, თუ როგორ უნდა მოეკრიბა არდიშვილს დაპირებული ფულები. მოვაჭრეებმა და კანტორებმა ერთ-ხმობით გადიხადეს თავიანთი ხვედრი. ჩალვადარ-მეურმეების შესაგებ კი სხვანაირათ უნდა მოქცეულიყო, რადგან ყოველ კვირაობით უნდა ეძლიათ მათ. საუმჯობესოთ დაინახა ბ-ნმა არდიშვილმა, როგორც თავის პიროვნების ცილისწამებისაგან უზრუნველ საყოფათ, აგრეთვე საქმის სიადვილისათვის, რომ ყოველ კანტორის წარმომადგენელს თვითონვე გამოერიცხა მასთან მომუშავე ჩალვადარ-მეურმეებისათვის ფული, მიეტანა ბოქაულის კანცელარიაში და თავისივე ხელით ჩაეწერა დავთარში ფულის რაოდენობა. ზოგიერთმა კანტორამ მიიღო ეს წინადადება, ხოლო ზოგიერთმა არა. განვლო ხანმა და იმათაც, ვინც იკისრეს ფულის მოკრეფა, თავი მიანებეს. ბ-ნ არდიშვილს უფლება არ ჰქონდა, რომ ძალა დაეტანებია ვისთვისმე. რა უნდა ექნა. სხვა ღონე არ იყო, თვითონ უნდა ეკისრა ფულის შეგროვება. ბ-ნმა არდიშვილმა ჩამოურიგა ჩალვადარ-მეურმეებს პატარ-პატარა ბეჭედ-დასმული ბილეთები და დაავალა რამდენიმე თავის მოსამსახურეს, რომ ბილეთების მიხედვით ეგროვებინათ მათ ფულები. აქ, რასაკვირველია, შესაძლებელია ფულის მომკრებლებმა იეშმაკეს, ბოროტმოქმედება ჩაიდინეს, მაგრამ ამაში არდიშვილი იმდენათდანაშაულია, რამდენათაც თვით საზოგადოება. ვიცი შემთხვევა, რომ ბ-ნმა არდიშვილმა ასეთს ბოროტმოქმედებაში მხოლოთ ეჭვის მიტანით რამდენიმე მოსამსახურე დაითხოვა. ყოველ ზემოხსენებულს შემდეგ იმ დასკვნას უნდა დავადგეთ, რომ თვით ბ-ნ არდიშვილის პიროვნება ამ საქმეში უმწიკვლოთ უნდა დარჩეს.

რა გააკეთა ბ-მა არდიშვილმა შეკრებილი ფულებით? ეს შეუძლია გარეშე ვინმემ იკითხოს, მარა ზემოურ სოსმანდისაგან კი ასეთი კითხვა საკვირველია! ბ-ნი სოსმანდი, ვფიქრობთ, ქიათურაში მცხოვრები უნდა იყოს და ნეტავი რათ არ უნებებია ასეთი პატარა სივრცის, როგორიც არის ქიათურა, მიმოვლა და დათვალიერება (შეიძლება ბრმა მწიგნობარია და კანანახით დაწერიეს?,?! ქიათურაში ახალ მოსულის კაცის ყურადღებას დრო-გამოშვებითი ზარის რეკვა იქცევს. რა არის ეს? სალოცავათ იწვევენ ხალხს ეკლესიაზე? არა. ეს დროს მაჩვენებელი ზარის ხმაა. მაშასადამე, ქიათურაში ყოფილა დიდი საათი და ზარა. დიაღ, არის. საჭიროა, თუ არა ეს მუშა-ხალხისთვის,—თვით ბ-ნმა სოსმანდმა განსაჯოს. მიიხედ მოიხედეთ გზებზე, ქუჩებზე და დანახავთ ახალ გაკეთებულ შვენიერ ფარნებს ყოველ 20 საჟენის მანძილზე. რამდენია? რამდენიც საჭიროა ქიათურისთვის. მოგწყურდებათ ქიათურაში? მოგართმევენ შეუდარებელს წყაროს წყალს. მოისურვებთ, რომ ნახოთ თვით წყარო? გაჩვენებენ თალებით მორთულს, ქვითკირის ცემენტით გაკეთებულს წყაროს, სადაც სამ დიდ მილში გადმოდის ცივი ანკარა წყალი, რომელიც არა თუ პატარა წისქვილს;—დოლაბსაც კი დააბრუნებს. მერე რა დაჯდა იმის გაკეთება? ამბობენ რვაას მანეთამდეო და ნამდვილს ცნობებს უთუოთ ბ-ნი არდიშვილი გამოაცხადებს. გნებავთ თვით ბაზრის დათვალიერება? ცუდს შთაბეჭდილებას მოახდენს თქვენზე უწეს-რიგოთ არეულ-დარეული ქოხმახები. სამაგიეროთ, თუ წვიმიანი დღეა, თქვენს ყურადღებას იქცევს გზა, რომელზედაც ტალახი არ დგება. შარშანაც ასე იყო ეს გზა? რა ბრძანებაა! რამდენი კალოში ჩარჩენილა და დაკარგულა აქ ტალახში, რამდენი ქვით დატვირთული ცხენი წაქცეულა და ქვა ჩაღუპულა ტალახში, რამდენი ცხენოსანი ბეწვზე გადარჩენილა, რომ კისერი არ მოემტვრიოს... ვინ მოახდინა ასეთი ცვლილება ამ მოკლე დროში? ბ-მა არდიშვილმა. მერე დიდ

*) იხ. „კვალი“ № 17

მანძილზეა ეს გზა გაკეთებული და ჭიათურა გზების მხრივ კეთილ-განწყობილია? არა, ბატონო, ჭიათურაში ახლაც ბევრია კისერ-სატეხი გზა. სხვა ვინ არის ისეთი, რომ ერთი წლის განმავლობაში ჯოჯოხეთი სამოთხეთ აქციოს? მაშ ნურც ბ-ნ არდიშვილს მოვთხოვთ ამას. შეადარეთ აწინდელი ჭიათურა წინანდელს! დაუპირდაპირეთ აწინდელივე ჭიათურა საჩხერეს, ზესტაფონს და დარწმუნდებით, რომ ბ-ნ არდიშვილს ბევრი რამ გაუკეთებია ჭიათურის წარსამატებლათ. ყოველ ამას ვერც თვით ბ-ნი ზემოური სოსმანდი ჰყოფს უარს, თუნდა „ასე თუ ისეო" უმატებს კი.

ბ-ნი სოსმანდი მესამე მუხლში კითხულობს; „აქვს თუ არა საზოგადოებას (უფლება) მოთხოვოს მას, ბოქაულს, ყოველივე ანგარიში შეკრებილი ფულისაო". რასაკვირველია აქვს. თქვენი კითხვის კილოდან გამოდის, ბ-ნო სოსმანდო, რომ თითქო არდიშვილი უარს-ჰყოფდეს საზოგადოების ასეთს უფლებას. აბა დაასახელეთ ვინმე, რომ არდიშვილისთვის ანგარიშის ჩვენება ეთხოვოს და უკანასკნელს უარი ეთქვას მისთვის. სინიდის ქვეშ ბრძანეთ, ბ-ნო სოსმანდო, თქვენ თვითონ მიგიმართავთ არდიშვილისთვის, რომ ცნობები შეგეტყოთ? მე კი ჩემდათავათ ვიტყვი, რომ ორ-სამჯერ მინახავს და გამიშინჯავს ის გრეხილ-გაყრილი დავთარი, სადაც ბ-ნ არდიშვილს შეკრებილი ფულის ანგარიში აქვს ჩაწერილი.

„რატომ თვითონ არდიშვილმა არ გამოაცხადა ანგარიშიო"—იკითხავთ? საზოგადოთ მიღებულია, რომ ყოველი კაცი მაშინ აძლევს საზოგადოებას ანგარიშს, როცა ამ საზოგადოების მიერ მინდობილ საქმეს დაამთავრებს. ბ-ნ არდიშვილს კი ჯერ იმის მესამედიც არ გაუკეთებია, რაც უნდა გააკეთოს.

უნდა ალვიარო, რომ პოლიციელებს მე საზოგადოთ არ თანავუგრძნობ, პირ იქით ძალიანაც მეშინია მათი... მარა უსამართლობა იქნება კაცმა უარ-ჰყოს გულწრფელი სამსახური, ღვაწლი, ვისაც უნდა ეკუთვნოდეს იგი. პოლიციის მოხელებს თუ საზოგადოთ არ აქვთ კარგი სახელი დამსახურებული, მით უმეტეს სიხარულით უნდა მივეგებოთ ისეთს პოლიციის მოხელეს, რომელიც კეთილს და სასარგებლო საქმეებს აკეთებს. ბ-ნი არდიშვილი რომ შეძლებისადაგვარათ ემსახურება საზოგადო საქმეს,— ამას, ვგონებ, არავინ ჰყოფს უარს. სხვათა შორის მოვიხსენებ შემდეგ ფაქტს. აპრილის 20 ჭიათურაში შავიქვის მწარმოებელთა კრება იყო. ამ კრებას ბ-ნმა არდიშვილმა მიმართა სიტყვით, რომელშიაც განმარტა, რომ ასეთს წარმოებაში, როგორიც არის შავი ქვის წარმოება, საჭიროა დაარსდეს მუშების დამხმარებელი კასსა. რისთვის? მისთვის, რომ შავქვაში ურიცხვი მუშაა საჭირო და შემთხვევებიც არა იშვიათია მუშის ტუნელში სიკვდილისა და დაშავებისა; სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამ მუშა ხალხის ცოლშვილი უზრუნველ ვჰყოთ უბედურ შემთხვევების შედეგისაგანო და სხ. კრებას არაფრათ ეჭაშნიკა ეს კეთილი წინადადება, მარა ეს რა არდიშვილის ბრალია! ეს მხოლოთ იმის საბუთია, რომ ჩვენში ჰუმანური აზრი ჩამქრალია! ბ-ნმა არდიშვილმავე მიმართა ამ კრებას და თხოვა ჭიათურაში ფოსტა-ტელეგრაფის გასახსნელათ ფულის გამოღება. ეს წინადადება კრებამ მიიღო და, მაშასადამე, ამ მოკლე დროში ჭიათურაში გაიხსნება ფოსტა-ტელეგრაფი. ბ-ნი არდიშვილივე ღებულობს მხურვალე მონაწილეობას ჭიათურაში ბიბლიოთეკის დაარსების საქმეში და სხ. და სხ. *)

ყოველივე ზემოხსენებულით მე არ მინდა ბ-ნი არდიშვილი უნაკლულო და უცოდველ კაცათ აღვიარო: უნაკლულო ამ ცოდვილს ქვეყანაში მოგეხსენებათ არვინ არის, მარა, თუ ნაკლს ღირსება ჭარბობს, ასეთი კაცი სასარგებლო კაცათ ითვლება. ასეთი კაცის პიროვნების უსაბუთოთ შელახვა საზოგადო სამსახურათ ჩასათვალი არაა, როგორც ეს შეიძლება ბ-ნ ზემოურ სოსმანდს ჰგონია.

თ. კიკვაძე

---

*) ასეთი ფაქტების აღნიშვნა ნეტავი დიდვირამში რათ ჰგონია ბ-ნ სოსმანდს?!.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

# განცხადებანი

ვინაიდგან მომრიგებელი მსაჯულის განჩინებით დადგენილის 20-ს მაისს 1893 წ. უნდა გაიყოს უძრავი ქონება, სახელდობრ ,,ქალის მთა", ამისათვის შორაპნის მაზრის დ. საჩხერის ნოტარიუსი აბაშიძე მოიწვევს განცხადებული მამულის მონაწილეებს, რათა გამოცხადდენ იმავ მაზრის სოფ. ჭალას თუთხმეტს მაისს 1895 წელსა და დაესწრონ ამ მამულის ცნობაში მოყვანას, აწერას და დაფასებას.

ნოტარიუსი დ. აბაშიძე.

---

ქალაქის თვით გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ ქ. თბილისში, თანახმათ ცხენის ბაზრობის შესახებ დებულებისა, რომელიც არის დამტკიცებული კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ, ცხენის ბაზრობა დაიწყება ხუთს მაისს 1895 წლისა და გაატანს 18 მაისამდე. ამიტომ ქალაქის გამგეობა უმორჩილესათ თხოვს მაზრების უფროსებს სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთ, აცნობონ მცხოვრებლებს ზემორე აღნიშნული დრო ცხენის ბაზრის გახსნისა და მით ხელი შეუწყონ ამ სასარგებლო ცხენების მოშენების საქმეს კავკასიაში. (3—3)

# ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით, ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გაყიდულ იქნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გაყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანხმად ბანკის წესდების მე-19 §-ისა შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდან ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლათ დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე; სოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთ მამულთ აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძველით, ინიშნება, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა.

**$18^{7}/_{12}$ და $19^{11}/_{12}$ წლიანნი სესხნი.**

ქ. ქუთაისს

**დარასველიძისა** მიხაილ ერასტის ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი ერთი ერთ-სართულიანი და მეორე ორ-სართულიანი და მიწა 312 კვადრ. საჟ.

**მემკვიდრეთა ჩარექოვისა** ელისაბედ სიმონის ასულის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით და მიწა $103^{1}/_{2}$ კვადრ. საჟ.

**დიასამიძეთა:** ნესტორ და სამსონ მიხაილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 კვადრ. საჟ.

**ჩარკვიანისა** ნატალია სპირიდონის ასულის: ნიჟარაძის გადასახვევში ორი ხის სახლები მიწით 494 კვ. საჟ.

**მურევანოვისა** პეტრე სიმონის ძის სილაზე ერთ სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 210 კვ. საჟ.

**ალიბეგოვთა,** იოსებ, ალექსანდრე ივანე ხვთისოვარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 კვად. საჟ.

**კობახიძისა** ალექსი სიმონის ძის: ბალახვანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 455 კვადრ. საჟ.

**ჩოგოვაძისა** ვასილ ოქროპირის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 479 კვადრ. საჟ.

**ლორთქიფანიძისა** ნიკოლოზ გიორგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 667 კვადრ. საჟ.

**მებუკისა** ბესარიონ ვასილის ძის: ნემეცის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 309 კვად. საჟ.

**რუხაძისა** ლევან გიორგის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა $46^{1}/_{2}$ კვ. საჟ.

**ჟღენტისა** გედევან სპირიდონის ძის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 198 კვად. საჟ.

**ლორთქიფანიძისა** დავით არჩილის ძის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 123 კვ. საჟ,

**ფიჩხაძისა** აბრამ და ისაკ ფილხანზის ძეთა: ბაზრის ქუჩ. ერთსართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 9 კვად. საჟ. და 1 კვ. ალაბი.

**რუხაძისა** ლუკა ნიკოლოზის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა $27^{1}/_{2}$ კვ. საჟ.

**ხანანაშვილისა** მათათა ისაკის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 189 კვ. საჟ.

**ხურციძისა** თედორე ვახუშტის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართუ-

ლიანი ხის სახლი, დუქანი და მიწა 860 კვადრ. საჟ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა ელისაბედ სიმონის ასულის: მახლობლად ქუთაისის რკინის გზის სადგურისა ორი ხის სახლი და მიწა 1000 კვადრ. საჟ.

ჩიკვაიძისა მიხაილ თომას ძის: სილაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 106 კვადრ. საჟ.

ალავიძეთა ნიკოლოზ და ნოშრევან ოქროპირის ძეთა: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 224 კვადრ. საჟ.

ბელდზიშევსკისა გიორგი სტეფანეს ძის და ნიქაშავიძის ბეკოსი ლევაშოვის ქუჩაზე ორი თითო სართულიანი ხის სახლები და მიწა 162 კვად. საჟ.

ბერიძისა ნინო ივანეს ასულის ალექსანდრეს ქუჩაზე ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა 180 კვ. საჟ.

გლაიაშვილისა გრიგოლ გიორგის ძის: გენერალის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 243 კვ. საჟ.

განდელაკისა დომენტი სიმონის ძის: რიონის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 353 კვადრ. საჟ.

მაღლაფერიძისა თომა მამუკას ძის და კვესელავასი ყარამან მიხაილის ძის: მესხეთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 215 კვად. საჟ.

ფიჩხაძეთა: მანუახ, და აბრამა შაფათას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 11,8 კვად. საჟ.

თადიაშვილისა: დავით მოშას ძის და მოშა აბრამას ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 5 კვ. საჟ.

ცქიტიშვილისა ფილიპე ზაალის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 118 კვადრ. საჟ.

შაშუაშვილისა შალომ აბრამის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 8 კვადრ. საჟ. და 5 კვადრ. ალაბი.

ბუზიაშვილთა ისრაილ ელოს ძის: შამოელა, მიხაილ და რაფიელ ისხაკას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15 კვადრ. საჟ. და 5 კვ.

დათუნაიშვილისა სიმონ ივანეს ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 885 კვ. საჟ.

მურადოვისა ეკატერინა მელქონის ასულის და ნიკოლაიშვილისა, ოქროპირ როსტომის ძის: ალექსანდრეს ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 145 კვადრ. საჟ.

ხმალაძისა პავლე სპირიდონის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 8 კვადრ. საჟ.

უტულოვისა მარიამ ალექსის ასულის: მიხაილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 128,5 კვადრ. საჟ.

ელიგულაშვილთა: ყობო და მარდახ ისხაკის ძეთა: წულუკიძის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 81 კვ. საჟ.

დგებუაძისა ნიკოლოზ ფირანის ძის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 190 კვად საჟ.

ჯინოშვილისა პავლე ივანეს ძის: მიხაილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 434 კვ. საჟ

ისაევისა მიხაილ პეტრეს ძის: უსახელო ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 254 კ. საჟ.

ლომინაძისა იოსებ ალმასხანის ძის: ბალახვანის ქუჩაზე ორი სახლი: ორ-სართულიანი ხისა და ერთ-სართულიანი ქვითკირის და მიწა 106, 8 კვად. საჟ.

მდივნისა ბესარიონ მაჩაბელის ძის: მესხეთის ქუჩაზე [illegible]-სართულიანი სახლი და მიწა [illegible] კვადრ. საჟ.

ნემსიწვერიძისა ელ[illegible] [illegible]სარიონის ძის და გაბუ[illegible] [illegible]რია უტუს ძის: ბაზრის ქუ[illegible] ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 3,55 კვ. საჟ.

ჭოლოშვილისა კონსტანტინე ბექანის ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 36 კვად. საჟ.

ჩარექოვისა პეტრე იოსების ძის: ქარავან-სარაის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 148 კვადრ. საჟ.

შავგულიძეთა: პავლე და ლევან გიორგის ძეთა, და დიმიტრი გრიგოლის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 215 კვადრ. საჟ.

შავგულიძისა თედორე სიმონის ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 395 კვადრ. საჟ.

ზინაურიშვილისა აბრამ მოშას ძის გელათის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა $77^1/_2$ კვ. საჟ.

ქორქაშვილისა მარიამ სიმონის ასულის და ქუთათელაძისა ივანე პაატას ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 345 კვადრ. საჟ.

კაპიტოლგინისა მარიამ მიხაილის ასულის: ალექსანდრეს სლობოდაში ორი ერთ-სართულიანი ხის სახლები და მიწა 228 კვადრ. საჟ.

მეკინულოვისა იაკობ ისხაკის ძის: გაგარინის ქუჩის შესახვევში ორ-